საქართველო

27271-01-2-201507171558

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/27271
17/07/2015

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ ხელი მოეწერა „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმებას (5.06.2015, ქ. ჰაგაში, აჰმედ უზუმჯუს - გენერალური მდივნის მიერ და 02.07.2015, ქ. თბილისში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ქ-ნი თამარ ბერუჩაშვილის მიერ).

აღნიშნული შეთანხმების მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, გიგზავნით, ზემოაღნიშნული შეთანხმების ინგლისურენოვანი დედნისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული თარგმანის ასლებს, განმარტებით ბარათს, შესაბამისი უწყებების დასკვნებსა და შეთანხმების ფურცელს.

ზემოაღნიშნული შეთანხმების პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: 42 ფურცელი.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 57389
20.07.2015
43 ფურცელი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველო

27282-01-2-201406231742

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/27282
23/06/2014

საქართველოს მთავრობის კანცელარია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 17 ივნისის N01/26327 წერილზე დამატებით, გიგზავნით, „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმებასთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტაციას.

დანართი: 4 გვერდი.

პატივისცემით,
დავით ჯალაღანია

მინისტრის მოადგილე

№ 21110
24 06 2014
5

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

№ 01/14236

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის ღრმა პატივისცემას ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ტექნიკური სამდივნოს მიმართ და სამდივნოს 2012 წლის 19 ნოემბრის NV/LAO/180007/12 LAO/12-0670 ნოტის პასუხად, აქვს პატივი აცნობოს შემდეგი:

ქართულმა მხარემ ყურადღებით განიხილა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის კომენტარები "საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების პროექტის 6(3) და 7(3) მუხლებთან დაკავშირებით. ქართული მხარე თანახმაა რომ, თავიანთი ფუნციების ეფექტურად შესრულების მიზნით, შეთანხმებით გათვალისწინებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით უნდა ისარგებლოს OPCW-ს ყველა თანამდებობის პირმა და ექსპერტმა, მოქალაქეობის მიუხედავად. შესაბამისად, შეთანხმების პროექტის ტექსტიდან ამოღებულ უნდა იქნეს 6(7) და 7(3) პუნქტები. რაც შეეხება შეთანხმების 6(3) მუხლს, ქართული მხარე მოხარულია, სამდივნოს, დანართის სახით, წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების მოკლე მიმოხილვა კონკრეტულ პირთა სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

აქვე, სამინისტროს აქვს პატივი სამდივნოს გადასცეს შეთანხმების ტექსტი ქართული მხარის დამატებითი შენიშვნებით (ხაზგასმულია), რომელიც ეხება პროექტის მე-3 და მე-6 მუხლებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაადასტუროს თავისი ღრმა პატივისცემა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) ტექნიკურ სამდივნოს მიმართ.

დანართი: 9 გვერდი.

თბილისი, 9 აპრილი, 2014 წელი

ქიმიური იარაღის აკრძალვის
ორგანიზაციის ტექნიკური სამდივნო
ქ. ჰაგა

26.06.14

საქართველო

26326-01-2-201406171738

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/26326
17/06/2014

დასკვნა
„საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას (OPCW) შორის ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას (OPCW) შორის ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების პროექტი და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

პატივისცემით,
თამარ ბერუჩაშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010152438905513

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№34501

29 / მარტი / 2013 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 28 მარტის №01/12615 წერილით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას (OPCW) შორის ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" და გაცნობებთ შემდეგს:

1. OPCW-ს თანამდებობის პირებისა და ექსპერტებისათვის, იმ შემთხვევაში თუ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დროს, მათთვის სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტისა და საგადასახადო შეღავათების მინიჭების საკითხი უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

2. რაც შეეხება OPCW-ს ქონებისა და პერსონალისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებას, აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისაგან განსხვავებული ნორმები შესაძლებელია დადგინდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3. შეთანხმების პროექტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, OPCW-ს თანამდებობის პირები უნდა გათავისუფლდნენ სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისაგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, OPCW-ს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველომ უნდა გადაუვადოს ასეთ პირებს სახელმწიფო სამსახურის ვალდებულება. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო სამსახურის ვალდებულება შესაძლებელია მოიცავდეს სამხედრო სავალდებულო სამსახურს, რომლის გადავადება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდის საფუძველზე.

წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი, მისი მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტისა „ვ" ქვეპუნქტისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად საჭიროებს რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტის მიერ.

ზ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე — გოჩა ლორთქიფანიძე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
20892/01
02.04.2013

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/57127
23/07/2013

57127-07-02-2-201307231635

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 28 მარტის №01/12613 წერილით წარმოდგენილ „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ შემდეგს:

შეთანხმების პროექტის:

1. მე-3 მუხლის (OPCW-ის პრივილეგიები და იმუნიტეტები) მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში სიტყვები „იმპორტ/ექსპორტის გადასახდელებისგან" შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: „იმპორტის (საბაჟო) გადასახდელებისგან";
2. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მის პუბლიკაციებზე იმპორტის (საბაჟო) გადასახდელებისგან, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვებისაგან და შეზღუდვებისგან";
3. მიზანშეწონილია შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლის (OPCW-ის პრივილეგიები და იმუნიტეტები) მე-7 პუნქტის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველო, როცა ეს შესაძლებელია ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს აღნიშნული მოსაკრებლების და გადასახადების თანხის უკან დაბრუნების ან თანადაფინანსების მიზნით."

ამასთან, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.

დავით ლეკვა

მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
47828 01
24.07.13

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409 ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 627618 03/04 2013 წ.

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ **სოფიო კუპრაძეს**

ქალბატონო სოფიო,

თქვენი ა. წ. 28 მარტის №01/12611 წერილის პასუხად, რომელიც „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების პროექტის ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის მიერ ჩასწორებულ ვერსიას ეხებოდა, გაცნობებთ შემდეგს:

1. აუცილებელია, შეთანხმების პროექტის მე-6 და მე-7 მუხლებს დაემატოს დებულება, რომ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული პრივილეგიები და იმუნიტეტები (სულ მცირე: იმუნიტეტი პირად დაპატიმრებაზე ან დაკავებაზე) არ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომლებიც ჩადენილია საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება ე. წ. „ექსტრატერიტორიულობის პრინციპი";

2. შეთანხმების პროექტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „a" ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმუნიტეტი პირად დაპატიმრებაზე ან დაკავებაზე თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას ჩადენილი ქმედების მიმართ და მათი პირადი ბარგის ჩამორთმევაზე".

აქვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩვენს პირველ შენიშვნაში მოცემული საკითხი შეთანხმებულ იქნეს საქართველოს პროკურატურასთან.

პატივისცემით,

შალვა ~~კვინიხიძე~~
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის დირექტორი

საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

11. 04 2013 წ

№ 2/143

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე წლის 28 მარტის №01/12619 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ" შეთანხმების პროექტის მიმართ, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

ლევან დოლიძე

მინისტრის პირველი მოადგილე

0112 ქ.თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ.20 ტელ (995 32) 2 91 20 58
20 GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL. (995 32) 2 91 20 58
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION OF GEORGIA

KA060107691507113

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6. ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel.(+995 32) 2727200, 2727220, Fax.2727237; www.moe.gov.ge

 # 1183 **11 / აპრილი / 2013 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი
დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელს ქალბატონ სოფიო კუპრაძეს

ქალბატონო სოფიო,

გარემოს დაცვის სამინისტრომ თქვენი წერილის (#01/12617. 28.03.2013) თანახმად განიხილა "საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების პროექტი. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე ნ. შარაშიძე ნინო შარაშიძე

23642/01
12 04 13
1